

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატის ანგარიშის წარდგენის

ოქმი

ქახალციხე, შ. ახალციხელის №2

1 ნოემბერი, 2016 წელი

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატის ანგარიშის წარდგენის ადგილი - ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მცირე დარბაზი

მომხსენებელმა ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატმა, თამარ გოგინაშვილმა, დამსწრე საზოგადოებას გააცნო განსახილველ საკითხთა ნუსხა:

1. ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიში

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატმა, დამსწრე საზოგადოებას გააცნო თავისი ანგარიში, რომელიც მოიცავდა 2016 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 28 ოქტომბრამდე საანგარიშო პერიოდს აღნიშნულ პერიოდში ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩატარებული 14 სხდომიდან დეპუტატი დაესწრო 10 სხდომას, ხოლო საანგარიშო პერიოდში იურიდიულ საკითხთა კომისიის მიერ ჩატარებული 16 სხდომიდან, ესწრებოდა 15-ს. აღნიშნულ პერიოდში დეპუტატი იყო „ახალციხის მუნიციპალიტეტის სიმბოლოების გერბისა და დროშის შექმნის მიზნით ჩასატარებელ სამუშაოთა ორგანიზებისათვის დროებითი სამუშაო ჯგუფის“ მდივანი და მონაწილეობდა „ახალციხის მუნიციპალიტეტის სიმბოლოების (გერბისა და დროშის) პროექტის შესარჩევი კონკურსის გამოცხადებისა და ჩატარების ვადების დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტების შემუშავებაში. როგორც იურიდიულ საკითხთა კომისიის თავჯდომარე იყო „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის შექმნის და დამტკიცების შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 17 სექტემბრის N45 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტის თანაავტორი.

საანგარიშო პერიოდში დეპუტატის მიერ საკრებულოს სხდომაზე მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხებია:

„ახალციხის მუნიციპალიტეტის დასახლების საერთო კრების ტიპიური დებულების დამტკიცების შესახებ“ დადგენილება

„ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, ხეივნების, შესახვევების, ჩიხების, მოედნების, სკვერების, შენობა-ნაგებობების,

მრავალბინიანი სახლების სადარბაზოებისა და ბინების ნუმერაციის წესის დამტკიცების შესახებ" ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 დეკემბრის №48 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე დადგენილება

არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირის „ახალციხის თემის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება“-ს წესდების დამტკიცების თაობაზე განკარგულება

არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირის „ახალციხის თემის კულტურის დაწესებულებების გაერთიანება“-ს წესდების დამტკიცების თაობაზე განკარგულება

2016 წლის 17 ივლის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“ შესული ცვლილებების საფუძველზე „ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ" ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №2 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე დადგენილება და სხვა.

ანგარიშის წარდგენის დროს აზრი გამოთქვა ხეოთის მცხოვრებმა - მაია გორელაშვილმა და შორენა ზაზაძემ, მათ მოიწონს ახალციხის მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებული სოციალური პაკეტი და გამოთქვს სურვილი, რომ მომავალ სოციალური პაკეტში მრავალბინიანი დედებისთვისაც ყოფილიყო რაიმე მუხლი გათვალისწინებული.








საყუნეთის მცხოვრება - გივი ხაჩიძემ გამოთქვა მწუხარება სოფლის გაზიფიკაციის თემაზე, და აღნიშნა, რომ სოფლისათვის ყველაზე დიდი პრობლემა ამ პერიოდისათვის სწორედ რომ ეს საკითხი იყო. დეპუტატმა გააცნო საკითხის გადასაჭრელად მუნიციპალიტეტის ნაბიჯები რაში გამოიხატებოდა.

გროგოლ ხაჩიძემ, გურკელის საჯარო სკოლის პედაგოგმა, იკითხა სოფელ გურკელისათვის მაღალმთიანი სოფლის სტატუსის მნიშვნის საკითხი, რაზეც დეპუტატმა განუმარტა, რომ 2015 წლის 14 დეკემბერს ჩატარებული „მთის განვითარების საბჭოს“ მე-2 სხდომის და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის დადგენილებით, ახალციხის მუნიციპალიტეტის 30 სოფელს მიენიჭა მაღალმთიანი დასახლების სტატუსი. დარჩენილის სოფლებიდან მუნიციპალიტეტმა ყველაზე გააკეთა ახალი შუამდგომლობა, მიუხედავად იმისა, რომ შუამდგომლობით კიდევ 3 სოფელს მიენიჭა სტატუსი, ამ სამ სოფელში სამწუხაროდ კვლავ არ აღმოჩნდა სოფელი გურკელი. ამ ეტაპისთვის კვლავ არის გაგზავნილი სოფლებზე დამატებითი ინფორმაცია და მუნიციპალიტეტის ელოდება საბჭოს მორიგ სხდომას.

შეხვედრაზე გაჟღერდა ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობისა და მომავალი პროექტების თემები


სხდომაზე დამსწრე პირები:

2. მაია გორელაშვილი მათი გორელაშვილი
3. შორენა ზაზაძე შ. ზაზაძე
4. ჟუჟუნა წიკლაური ჟ. წიკლაური

- 5. გივი ხაჩიძე 
- 6. გრიგოლ ხაჩიძე 
- 7. მარგო ხაჩიძე 
- 8. ინგა მალაქელიძე 
- 9. გელა ტივაძე 
- 10. ნატო ზედგინიძე 
- 11. ნინო გელაშვილი 

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დეპუტატი



/თ.გოგინაშვილი/